

პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი

გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ გამოცდებზე ქცევის წესები

სტუდენტი გამოცდაზე უნდა გამოცხადდეს მის დაწყებამდე სულ მცირე 30 წუთით ადრე.

სტუდენტი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია და გამოცდის დაწყებამდე დაიკავოს მისთვის გამოყოფილი ადგილი (მაგიდა) რეგისტრაციისას მითითებულ საგამოცდო აუდიტორიაში.

გამოცდაზე არ დაიშვება დაგვიანებით გამოცხადებული სტუდენტი.

სტუდენტმა რეგისტრაციისას უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი სურათიანი საბუთი (პირადობის მოწმობა ან ბაფის წევრის მოწმობა).

სტუდენტს გამოცდის დამთავრებამდე საგამოცდო მაგიდაზე უნდა ედოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სტუდენტმა თან უნდა იქონიოს კალკულატორი, სახაზავი, კალამი, ფანქარი, საშლელი და სათლელი. ეს ნივთები გამოცდაზე არ გაიცემა.

სტუდენტებისათვის შეუფერებელი და აკრძალული ქმედებებია:

- გამოცდაზე სახელმძღვანელოების, სასწავლო მასალის, ან რაიმე ჩანაწერის შეტანა. ხელჩანთები საგამოცდო აუდიტორიაში უნდა მოთავსდეს დამკვირვებლის მიერ მითითებულ ადგილზე;
- ჩართული მობილური ტელეფონების შეტანა საგამოცდო აუდიტორიაში;
- პროგრამული ან/და მეხსიერების მქონე კალკულატორის გამოყენება საგამოცდო პროცესში;
- გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო აუდიტორიაში ერთმანეთთან საუბარი;
- საგამოცდო ტესტების დათვალიერება დამკვირვებლის მიერ გამოცდის დაწყებულად გამოცხადებამდე;
- სხვისი ნაშრომიდან გადაწერის ან სხვისთვის გადაწერის ხელშეწყობის მცდელობა;
- გამოცდის მიმდინარეობის პროცესში საგამოცდო აუდიტორიიდან გასვლა, დამკვირვებლის ნებართვის გარეშე;
- პოლში, მოსაწვეად გამოყოფილ ადგილებსა და სველ წერტილებში სახელმძღვანელოებით, სასწავლო მასალით, ან რაიმე ჩანაწერით სარგებლობა ან აზრთა გაზიარება და მსჯელობა საგამოცდო თემატიკაზე, თუნდაც სტუდენტს ჩაბარებული პქონდეს მისი ნამუშევარი და გამოცდიდან გამოსულად ითვლებოდეს;
- მუშაობის გაგრძელება დამკვირვებლის მიერ გამოცდის დამთავრებულად გამოცხადების შემდეგ.

სტუდენტი გამოცდიდან მოიხსნება აკრძალული ქმედებისათვის და მისი ნაშრომი შეფასებას არ დაექვემდებარება.

სტუდენტი უფლებამოსილია:

- ნებისმიერ დროს შეწყვიტოს საგამოცდო ტესტებზე მუშაობა და დამკვირვებლის ნებართვით დატოვოს აუდიტორია;
- მოითხოვოს 5-წუთიანი შესვენება სიგარეტის მასაწვეად, ან/და ტუალეტში გასასვლელად, გამოცდის დაწყების მე-60 წუთიდან გამოცდის ბოლო 30-წუთიანი მონაკვეთის დაწყებამდე;
- მოითხოვოს სასმელი წყალი;
- მოითხოვოს შედავითი საგამოცდო პროცედურებთან დაკავშირებით, თუ დადგენილი ნორმები შეუთავსებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის (ცისტით, შაქრის დიაბეტით დაავადება, ფეხმძიმობა და სხვა მდგომარეობა, რომელიც გულისხმიერების გამოჩენას მოითხოვს). ასეთ შემთხვევაში, კოორდინატორი უფლებამოსილია სტუდენტს შეუქმნას სათანადო გარემო.

სტუდენტმა, შესვენების უფლებით სარგებლობის დროს, სამუშაო რვეული მაგიდაზე უნდა დატოვოს დასურულ მდგომარეობაში.

გავეცანი _____

სახელი, გვარი

ხელმოწერა